საქართველოს ეროვნული მუზეუმი

გელათის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე 2025 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში

თბილისი

2025

1. ზოგადი ინფორმაცია:

● არქეოლოგიური სამუშაოების შემსრულებელი ორგანიზაცია:

სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმი“. საიდენტიფიკაციო (რეგისტრაციის) ნომერი - № 204468664. მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №3.

● არქეოლოგიური სამუშაოების სანებართვო მოწმობის მფლობელი:

ვაჟა მამიაშვილი (პ/ნ-13001057786) - არქეოლოგიის დოქტორი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიური კოლექციების მთავარი კურატორი.

● არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების ადგილი:

ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. გელათი.

გეოგრაფიული კოორდინატები, GPS მონაცემები:

316046.06 E; 4684905.79 N (ს/კ 39.07.31.362).

● არქეოლოგიური სამუშაოების სანებართვო მოწმობა:

სანებართვო მოწმობის - *№ ნ/12/17; ვადის გაგრძელება* - სანებართვო მოწმობის - *№ ნ/ 12/82*

● არქეოლოგიური სამუშაოების უშუალოდ შემსრულებელი სამეცნიერო ჯგუფი:

1. **ვაჟა მამიაშვილი** – არქეოლოგიის დოქტორი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიური განყოფილების მთავარი კურატორი. საპროექტო არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის.
2. **როლანდ ისაკაძე** – ისტორიის აკადემიური დოქტორი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
3. **დიმიტრი ჟვანია** – არქეოლოგიის დოქტორი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.
4. **შალვა ბუაძე** – არქეოლოგიის დოქტორანტი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის კურატორი; ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის არქეოლოგიის

განყოფილების კურატორი; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის მიმართულების მოწვეული სპეციალისტი.

5. **გიორგი კოპალიანი** - არქეოლოგი, ტოპოგრაფი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი;
6. **ჯიმშერ ჩხვიმიანი** - არქეოლოგიის დოქტორი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დმანისის მუზეუმ ნაკრძალის მმართველი;
7. **ჯონი აბულაძე** – არქეოლოგიის დოქტორი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.
8. **გიორგი გოგოლაძე** - არქეოლოგი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიური განყოფილების ასისტენტ-კურატორი;
9. **თეონა ბუბუტეიშვილი** – არქეოლოგიის მაგისტრი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის სპეციალისტი; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის მიმართულების მოწვეული სპეციალისტი.

1. ძეგლის ზოგადი დახასიათება და მასზე წინა წლებში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მიმოხილვა:

გელათის მონასტრის არქეოლოგიური კვლევის ისტორია სათავეს XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იღებს და თითქმის საუკუნენახევარს მოიცავს. მიუხედავად ამისა, აღნიშნული კვლევები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა და მოკლებული იყო ერთიან კვლევით სტრატეგიას, რაც განაპირობებდა მათი შედეგების ფრაგმენტულობასა. მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან და განსაკუთრებით XXI საუკუნის დასაწყისში დაიწყო სისტემატური და მიზანმიმართული არქეოლოგიური კვლევები, რომლებიც უკვე ემყარებოდა თანამედროვე მეთოდოლოგიურ მიდგომებს და ინტერდისციპლინარულ თანამშრომლობას.

XIX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს გიორგი წერეთელს გელათში უნახავს რომაული მონეტები და არაქრისტიანული წესით მოწყობილი სამარხები. სამონასტრო კომპლექსის დასავლეთით რომაული მონეტებისა და არაქრისტიანული წესით დამხრობილი („...სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ...“) სამარხების („...სარკოფაგი ქვითქირით შეხურული...“) შესახებ ინფორმაცია გიორგი წერეთელს მოხსენების სახით წარუდგენია სრულიად რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების V ყრილობის (1881 წ.) მოსამზადებელი კომიტეტისათვის რამდენიმე ათწლეულის შემდეგ, ქვეყნის ისტორიის სრულიად სხვა ეტაპზე, შესაბამისად – განსხვავებულ პირობებში, 1920 წელს მონასტრის მთავარი ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთ სამლოცველოში, ე.წ. „თამარის ეკვდერში“ ექვთიმე თაყაიშვილს გაუხსნია ქვის ფილებით შეკრული აკლდამა, რომელშიც ოთხი მიცვალებულის ნაშთები აღმოჩნდა.

1939-1946 წლებში ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორის, მინაგო გოგსაძისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის სიმონ ყაუხჩიშვილის თაოსნობით განხორციელებული არქეოლოგიური გათხრების პროცესში (მონაწილეობდნენ: გიორგი ჩუბინაშვილი, ლევან რჩეულიშვილი,

რენე შმერლინგი, ვახტანგ ცინცაძე) გაიწმინდა სამონასტრო კომპლექსის დასავლეთ ნაწილში მდებარე აკადემიის შენობის ნანგრევები - ინტერიერი და კარიბჭეები

აკადემიის სარდაფის სართულისა და თავდაპირველი (ავთენტური) მერხების არსებობა დადასტურებულია რუსუდან მეფისაშვილის მიერ ჩატარებული დაზვერვითი გაწმენდის შედეგად.

ბევრად უფრო გვიან, 1984 წელს, მონასტრის გარეთ (სამხრეთ-დასავლეთით) არსებულ ,,დავითის კონცხზე“ ტყიბულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის ზურაბ წიტაიშვილის (პროფ. ვახტანგ ჯაფარიძის კონსულტაციით) მიერ ჩატარებული მცირემასშტაბიანი არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად გამოვლინდა განვითარებული შუა საუკუნეების მასალები.

მოგვიანოდ, 2007-2022 წლებში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული სარეაბილიტაციო პროექტების თანადროულად ჩატარდა სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოები გამოკვლეული იქნა აკადემიის ინტერიერი და ჩრდილოეთის ეზოს ნაწილი; მცირე კვლევები ჩატარდა ,,სოხასტერზე“ და სამხრეთი კარიბჭის ინტერიერში; შესწავლილი და ნაწილობრივ რეაბილიტირებული იქნა მონასტრის ტერიტორიაზე XIII საუკუნიდან 1510 წლამდე მოქმედი სადრენაჟე სისტემა და წმ. გიორგის ეკლესიის ჩრდილოეთის ეზოს მონაკვეთი მონასტრისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე 2007-2022 წლებში ჩატარებული სტაციონალური, სადაზვერვო, საზედამხედველო, გაწმენდითი არქეოლოგიური სამუშაოებისა და საისტორიო წყაროების შეჯერების შედეგად დაზუსტდა სამონასტრო კომპლექსის ეზოსა და მიმდებარე უბნების სტრატიგრაფია-ქრონოლოგია; გამოიყო არქეოლოგიურად აქტიური ზონები.

2. საპროექტო ძეგლზე 2025 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების აღწერა:

● არქეოლოგიური სამუშაოების შედეგები:

გელათის მონასტერი წარმოადგენს განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე არქიტექტურულ, რელიგიურ და კულტურულ კომპლექსს, რომლის ტერიტორიაც შეიცავს მაღალი კვლევითი პოტენციალის მქონე ქვეკონტექსტურ სტრატიგრაფიულ შრეებს. 2024 წლის განხორციელებული გეოფიზიკური კვლევები - მაგნიტომეტრიული და რეზისტენტული პროსპექციის მეთოდების გამოყენებით - საფუძვლიანად გამოავლინა მიწისქვეშ არსებული არქიტექტურული სტრუქტურების ნიშნები და შესაძლო ფუნქციური ზონების სტრუქტურული პარამეტრები (სურ. 1-3).

აღნიშნული მონაცემების ანალიტიკური საფუძველზე, 2025 წლის არქეოლოგიური სეზონის განმავლობაში საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ წარმატებით განახორციელა კომპლექსური კვლევითი კამპანია გელათის მონასტრის ტერიტორიაზე. სამუშაოები მოიცავდა როგორც საველე არქეოლოგიურ

გათხრებს, ასევე მოპოვებული მასალების ლაბორატორიულ და სპეციალიზებულ ანალიზს.

გათხრები ჩატარდა მონასტრის სამხრეთ პერიმეტრზე. შედეგად, წარმატებით იდენტიფიცირდა და დოკუმენტირდა სტრატიგრაფიული ერთეულები და არქიტექტურული სტრუქტურა, რაც მნიშვნელოვნად შეავსებს გელათის მონასტრის ურბანული და ფუნქციური განვითარების სურათს (სურ. 4-5).

ძირითადი აღმოჩენები და შედეგები:

1. **გეოფიზიკურად დაფიქსირებული სტრუქტურების ფუნქციური ინტერპრეტაცია** - სტრატიგრაფიულ ჭრილში გამოვლინდა რამდენიმე ნაგებობის კვალი, რომლებიც განლაგებულია მთავარ ტაძარიდან 30-40 მეტრის მოშორებით (სურ. 6-7).
2. **უცნობი კულტურული ფენები და არქიტექტურული ნაშთები** - გამოვლინდა ადრე დაუფიქსირებელი კულტურული ფენები, რომლებიც სავარაუდოდ ასახავს მონასტრის ტერიტორიის წინარე სამშენებლო პერიოდს. გამოვლენილი სტრუქტურები მიუთითებს კომპლექსის შიდა ფუნქციური ზონების მრავალფეროვნებაზე და ცვლილებაზე დროთა განმავლობაში (სურ. 8-9).
3. **დაცვითი სტრატეგიების ფორმირება** - კვლევის შედეგად ზუსტად დადგინდა სტრუქტურების გეოგრაფიული მდებარეობა და სტრატიგრაფიული თანმიმდევრობა, რაც შესაძლებელს გახდის მომავალი სარესტავრაციო და საკონსერვაციო ღონისძიებების გეგმარებას სტრატიგრაფიული შრეების გათვალისწინებით (სურ.10-12).

საველე არქეოლოგიური კვლევის ფარგლებში, 2025 წლის გათხრების პროცესში გამოვლინდა 12 სტრატიგრაფიულად განცალკევებული არქეოლოგიური კონტექსტი, რომელთა იდენტიფიკაცია, დოკუმენტირება და ანალიზი განხორციელდა თანამედროვე საველე არქეოლოგიური მეთოდოლოგიის შესაბამისად. თითოეული კონტექსტი დამუშავდა ერთიანი სტანდარტიზებული სისტემით, რაც მოიცავდა მორფოლოგიური მახასიათებლების აღწერას, სტრატიგრაფიული ურთიერთმიმართებების განსაზღვრას, აბსოლუტური სიმაღლეების ფიქსაციას (ზღვის დონიდან) და მასალების კლასიფიცირებას. კვლევები მიმდინარეობდა სტრატიგრაფიული პრინციპების დაცვისა და საფეხურებრივი მიდგომის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფდა აღმოჩენილი სტრუქტურების, ფენების და არტეფაქტების დატარიღების განსაზღვრას. მონაცემთა დაფიქსირება განხორციელდა როგორც ფოტოგრაფიული და გრაფიკული დოკუმენტაციით, ასევე ყოველდღიური საველე დღიურებით და ინდივიდუალური დოკუმენტაციით. აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის შემდგომი ინტერპრეტაციისა და სინთეზური ანალიზისთვის.

საველე არქეოლოგიური სამუშაოების დროს გამოვლენილი კონტექსტებია:

კვადრატი G6; უბანი №4; კონტექსტი 001

დაფიქსირდა ჰუმუსოვანი ფენა. კვადრატის კვლევის დაწყებისას აღებული აბსოლუტური ნიშნულები ზღვის დონიდან შეადგენს ჩრდილოეთ მხარეს — 397.86–398.35 მ-ს, ხოლო სამხრეთ მხარეს - 398.58–399.32 მ-ს. ჰუმუსის სიღრმე მერყეობს საშუალოდ 10-12 სმ-ის ფარგლებში. ფენაში აღმოჩენილია როგორც თანამედროვე პერიოდის (ძირითადად XX საუკუნის) ნივთები, ასევე განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების კერამიკული ფრაგმენტები. ამგვარი შერევა, სავარაუდოდ, გელათის მონასტრის ტერიტორიაზე წარსულში განხორციელებული ინტენსიური მიწის სამუშაოებით, რომლებმაც გამოიწვია სხვადასხვა ეპოქის არტეფაქტების ჰუმუსოვან შრეში მოხვედრა (სურ. 13-14).

კვადრატი G6; უბანი №4; კონტექსტი 002

ფენა, მოყავისფრო-მონაცრისფრო რომელიც შეიცავს კირქვის ჩანართებს, დაფიქსირდა ზღვის დონიდან 399.23 მეტრის სიმაღლეზე. კონტექსტს ახასიათებს დიდი და საშუალო ზომის უფორმო ქვების არსებობა. ფენაში გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, მათ შორის მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკა. ასევე დაფიქსირდა სხვადასხვა ზომის ლითონის ლურსმნები.

ფენის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩენილია კედლის ნაშთი, რომლის წყობიდან იკვეთება მხოლოდ ერთი რიგი. აღმოსავლეთ მონაკვეთში გამოვლინდა საშუალო ზომის ქვებისგან, კირხსნარის გამოყენებით მოწყობილი ბილიკი (სურ. 14).

კვადრატი G6; უბანი №4; კონტექსტი 003

კონტექსტი №003 დაფიქსირდა კონტექსტი №002-ის ქვეშ, ბილიკის ჩრდილო-დასავლეთ მიმართულებით. იგი წარმოდგენილია ნაყარი ფენით, რომელიც შეიცავს უსისტემოდ მიმოფანტულ მცირე ზომის ქვებს. აღნიშნული ქვები ძლიერ წააგავს ქვაფენილში გამოვლენილ ქვებს, რაც საფუძველს იძლევა ვარაუდისათვის, რომ ეს ნაყარი ფენა შესაძლოა წარმოადგენდეს ქვაფენილის სტრუქტურულ ფრაგმენტს ან მისი დანგრეული ნაწილის დაგროვილი მასალა იყოს.

ფენაში დამატებით გამოვლენილია აგურისა და დუღაბის ფრაგმენტები, რაც მიუთითებს აღნიშნული სივრცის არქიტექტურულ-კონსტრუქციულ ცვლილებებზე ან ნგრევით პროცესზე. აღნიშნული ფენა დაფიქსირდა ზღვის დონიდან 398.46 მ სიმაღლეზე (სურ. 14.1).

კვადრატი G6; უბანი №4; კონტექსტი 004

ჰუმუსოვან ფენაში გამოვლინდა ქვაფენილის ფრაგმენტული ნაშთი, რომელიც დაფიქსირდა თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში. იგი წარმოდგენილია ერთი რიგის წყობით განლაგებული ქვებით. ქვაფენილის შემორჩენილი მონაკვეთის მაქსიმალური სიგრძეა 97 სმ, სიგანე – 65 სმ, ხოლო მაქსიმალური სიმაღლე შეადგენს 7 სმ-ს (სურ. 14.2).

ქვაფენილის ზედაპირზე არ იკვეთება არანაირი არტეფაქტი. აღნიშნული სტრუქტურა დაფიქსირდა ზღვის დონიდან 398.46 მ სიმაღლეზე.

კვადრატი G6; უბანი №4; კონტექსტი 005

შავი ფერის ფხვიერი სტრუქტურის ფენა ვრცელდება მთლიანად საკვლევ ტერიტორიაზე. იგი იწყება ზღვის დონიდან 398.39 მ სიმაღლეზე და გავრცელებულია საშუალოდ 10-15 სმ სიღრმეზე. ფენა ადევს გელათის მონასტრის ეზოს საფარს, რომელიც ფიქსირდება სხვადასხვა ზომის ქვებით.

სტრატიგრაფიული მახასიათებლების და ფენის არქეოლოგიური მასალის საფუძველზე, აღნიშნული ფენა ინტერპრეტირდება როგორც ეზოს მოწყობის შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბებული ძველი ჰუმუსის ნაშთი. მასში დაფიქსირდა მოზაიკის 2 ფრაგმენტები. ფენა ასევე შეიცავს კერამიკის ფრაგმენტებს, რაც მიუთითებს ზედაპირის გამოყენებაზე ადამიანის საქმიანობისთვის ისტორიულ პერიოდებში (სურ.15).

კვადრატი G6; უბანი №4; კონტექსტი 006

თხრილის მთელ ფართობზე დაფიქსირდა ჰორიზონტი, რომელიც მოფენილია ნატეხი ქვით. აღნიშნული სტრუქტურა, როგორც ჩანს, ასახავს გელათის სამონასტრო კომპლექსის ფუნქციონირების პერიოდში მიზნობრივად მოწყობილ ეზოს საფარს.

სავარაუდოა, რომ აღნიშნული ქვები წარმოდგენს მეორადად გამოყენებულ სამშენებლო მასალას. კერძოდ, შესაძლებელია ისინი უკავშირდებოდეს ღვთისმშობლის სახელობის მთავარი ტაძრის ფასადს, რომლის დროსაც პერანგის ქვის ფრაგმენტები მეორადი მიზნით იქნა გამოყენებული ეზოს მოსაპირკეთებლად (სურ. 16).

აღნიშნული ჰორიზონტის აბსოლუტური სიმაღლე შეადგენს ჩრდილოეთ მხარეს – 397.78 მ-ს, ხოლო სამხრეთ ნაწილში – 398.10 მ-ს ზღვის დონიდან.

კვადრატი G6; უბანი №4; კონტექსტი 007

კედლის ნაშთი ფიქსირდება თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეში. ნაგებობა აგებულია დიდი ზომის ნატეხი ქვების წყობით. შიგთავსში შეიმჩნევა დუღაბისა და მცირე ზომის ქვებით შესრულებული შევსება. კედელი დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. მისი ზედა ნაწილი დაზიანებულია გვიანი პერიოდის აქტივობის შედეგად (სურ. 17). კედლის პარამეტრებია: სიგრძე – 2 მ, სიგანე – 90 სმ, სიმაღლე – 70 სმ. კედლის საწყისი ზედაპირის სიმაღლე ზღვის დონიდან შეადგენს 399.10 მ-ს.

კვადრატი G6; უბანი №4; კონტექსტი 008

იატაკის ნაშთი დაფიქსირდა თხრილი №1-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, იმავე ლოკაციაში, სადაც გამოვლინდა კედლის ნაშთი. სავარაუდოდ, იატაკი ფუნქციურად უკავშირდება აღნიშნულ კედელს. გამოვლენილია მოყვითალო ფერის, 3-დან 5 სმ-მდე სისქის ალიზის ფენა, რომელიც შედგება წებოვანი თიხოვანი მასისა და ქვიშაქვის მცირე მინარევებისგან. იატაკის ძირითადი მონაკვეთი სტრატიგრაფიულად გადის თხრილის სამხრეთ პროფილში, თუმცა იდენტიფიცირებულია მხოლოდ ჩრდილოეთის ნაწილი. იატაკის პარამეტრები: სიგრძე – 5.15 მ, სიგანე – 1.40 მ, სისქე – 3–5 სმ. ზედაპირის აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან – 398.43 მ 9 (სურ. 18).

კვადრატი G6 (85); უბანი №4; კონტექსტი 009

ქვაფენილის სტრუქტურა (ბილიკი)

თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეზე, ჰუმუსოვანი ფენის ქვეშ, დაახლოებით 5–10 სმ-ის სიღრმეში გამოვლინდა ქვაფენილის სტრუქტურა, რომელიც ნაწილობრივ შედის ჯერ კიდევ გაუთხრელი არეალის პროფილში. სტრუქტურა დამხრობილია სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. ქვაფენილი აგებულია სხვადასხვა ზომის კირქვის ნატეხების წყობით, აგრეთვე შეინიშნება აგურის ფრაგმენტების შემცველობა, რაც მიუთითებს შერეულ სამშენებლო ტექნოლოგიაზე (სურ. 19). ბილიკის პარამეტრებია: მაქსიმალური სიმაღლე - 13-15 სმ, სიგრძე - 2.50 მ, სიგანე - 1.10 მ. ზედაპირის აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან შეადგენს 398.79 მ-ს.

კვადრატი G6 (85); უბანი №4; კონტექსტი 010

ქვევრის ნაშთი

ქვევრი გამოვლინდა თხრილი №1-ის არეალში. იგი თხელკეციანია და აღმოჩენის დროს შუაზე გახლეჩილი იყო, შიდა ფრაგმენტები ჩავარდნილი მდგომარეობით. ქვევრს გარედან შემოუყვება ჯავშანი – შემაკავშირებელი საფარი, რომელიც შედგება დუღავისა და კირის შემცველობის მქონე მასალისგან (სურ.20).

ქვევრის მახასიათებლები:

- ქვევრის განატეხის მაქსიმალური დიამეტრი – 102 სმ,
- ჯავშანის სისქე – 10–15 სმ,
- ქვევრის განატეხის ზედა ნიშნული ზღვის დონიდან – 398.35 მ,
- ფსკერის დონე ზღვის დონიდან – 396.85 მ.

კვადრატი G6 (65-75); უბანი №4; კონტექსტი 011

აღნიშნულ კონტექსტში დაფიქსირდა მიზანმიმართულად მოწყობილი სანიაღვრე სისტემა (არხი) რომელიც წარმოდგენილია ნახევარწრიული ფორმას. არხი

განსაზღვრულად მიჰყვება ჩრდილო-აღმოსავლეთის ხაზს. არხის შიდა მხარე მოწყობილია ეზოს ნატეხი ქვით, რომელიც მიუთითებს როგორც ერთდროულ მოწყობაზე, ისე ფუნქციური მიზნობრიობის გათვალისწინებას.

აღსანიშნავია, რომ არხის არსებობა და მდგომარეობა მიუთითებს სისტემურ მიდგომაზე წყალთან დაკავშირებულ ორგანიზების კუთხით. როგორც ჩანს სტრუქტურა ასრულებდა ზედაპირული წყლების რეგულაციის ფუნქციას და შესაძლოა დაკავშირებული იყოს ეზოს ან მასთან მიმდებარე სივრცის ინფრასტრუქტურასთან (სურ. 4, 21).

სანიაღვრე არხის სიმაღლეები ზღვის დონიდან: სამხრეთით - 398.10 მ; ჩრდილოეთით - 397.90 მ.

სანიაღვრე არხის ზომები: სიგრძე - 4.80 მ; სიგანე - 40 სმ; სიღრმე - 15-20 სმ.

კვადრატი G6 (84); უბანი №4; კონტექსტი 012

თხრილის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში გამოვლინდა ნაგებობის ფრაგმენტულად შემორჩენილი ნაშთი. გამოვლენილ სტრუქტურაში იკვეთება ნახევარწრიული გეგმარების ელემენტი, რომლის კონტურები მკაფიოდ იკითხება. ასევე დაფიქსირდა ერთი წყობის კედლის ფრაგმენტი, რომელიც აშენებულია სხვადასხვა ზომისა და ფორმის ფლეთილი ქვით, დუღაბის გამოყენებით.

ნაგებობის შიდა სივრცეში გამოვლინდა ქვის ნატეხების და უსახო (გაუფორმებელი) კერამიკული ფრაგმენტების დაულაგებელი კონცენტრაცია. სტრუქტურის ზედა და აღმოსავლეთ ნაწილებში დადგენილია მოშავო შეფერილობის ფენა, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით ნახშირის ნაწილაკებს - რაც შესაძლოა მიანიშნებდეს წვის კერაზე. ნაგებობის ჩრდილოეთ მონაკვეთზე შენარჩუნებულია მოყვითალო ფერის კირ-დუღაბის ფენა (სურ. 22).

კედლის ფრაგმენტის პარამეტრები შემდეგია: სიგრძე – 1.50 მ; სიგანე – 35 სმ; სიმაღლე – 18 სმ.

კონტექსტი - 013 - ნაგებობა - 3. კვ. G6-84

თხრილის სამხრეთ ნაწილში გამოვლინდა ნაგებობა, რომლის კედლის შემორჩენილი სიმაღლე წარმოდგენილია ერთი წყობით, აგებული დიდი ზომის კვადრებით. კედლის წყობა სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში იკვრება. კედლის სისქე მერყეობს 80-90 სმ-ის ფარგლებში. როგორც შიდა, ასევე გარე წყობა შესრულებულია დიდი ზომის კვადრებით (დაახლოებით 60 × 90 × 100 სმ). კედლის შიდა შევსება წარმოდგენილია წვრილი ქვებითა და კირის ხსნარით ნაგები მასით.

გამოვლენილი ინტერიერის იატაკის ფართობი შეადგენს დაახლოებით 80-160 სმ-ს. ნაგებობის შიდა სივრცეში ფიქსირდება იატაკის ორი დონე. გვიანდელი (ზედა) იატაკი მოტკეპნილია ალიზის მასით; იგი წარმოდგენილია თიხნარი, მოყვითალო ფერის

ფენით, რომლის სისქე 3-5 სმ-ს აღწევს. მის ქვეშ დაფიქსირდა 5-7 სმ სისქის შემავსებელი მიწის ფენა მცირე ზომის ქვების ჩანარევებით. აღნიშნული ფენის ქვემოთ, დაახლოებით 10 სმ სიღრმეზე, გამოვლინდა კირის ხსნარით ნაგები მყარი და კარგად შენარჩუნებული იატაკი. ქვედა იატაკი გამოირჩევა სიმტკიცით და დაზიანების კვალი მასზე არ ფიქსირდება.

ნაგებობის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ კედლების შიდა და გარე ზედაპირები დაფარულია დაახლოებით 2-3 სმ სისქის კირის ხსნარის შელესვით.

კედლის გარე პერიმეტრზე, ჩრდილოეთ მხარეს, მიდგმულია ერთი დიდი ზომის ქვა (სიგრძე - დაახლოებით 100 სმ, სიგანე - 80 სმ, სისქე - 70 სმ), რომელიც შესაძლოა ინტერპრეტირებულ იქნეს ნაგებობის შესასვლელის წინ არსებული საფეხურის ან ზღურბლის ელემენტად. თუმცა, აღნიშნული ქვის დასავლეთით, ჯერ კიდევ გაუთხრელ მონაკვეთში არსებულ თხრილში, იკვეთება მსგავსი კონსტრუქციული ელემენტები, რომლებიც სიმეტრიულად მიუყვება ე.წ. საფეხურის ხაზს, რაც დამატებით კვლევას საჭიროებს.

ნაგებობის ჩრდილოეთით, დაახლოებით 120 სმ-ის დაშორებით, გამოვლინდა ქვაყრილი - ქაოტურად განლაგებული ქვების კონცენტრაცია, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს აღნიშნულ ნაგებობასთან ან მისი სტრუქტურული ნაწილის ნაშთს წარმოადგენდეს.

ნაგებობა გრძელდება სამხრეთ და დასავლეთ მიმართულებით; აღნიშნული მონაკვეთები ამ ეტაპზე გათხრილი არ არის (სურ. 25-26).

კონტექსტი 014 - საკირე №1
კვ. G6 (74–75)

ეზოს იატაკის დონეზე (კონტექსტი 006) გამოვლინდა მართკუთხა ფორმის სტრუქტურა, რომლის სიგრძე შეადგენს დაახლოებით 250 სმ-ს, ხოლო სიგანე - 50 სმ-ს. სტრუქტურა ნაგებია და შევსებულია კირის მასით და ორიენტირებულია ჩრდილოეთ–სამხრეთის მიმართულებით. მის შიგნით ფიქსირდება კირის მკვეთრი და მასიური კონცენტრაცია.

სტრუქტურის გათხრის შედეგად დადგინდა, რომ იგი მოწყობილია უშუალოდ ეზოს ქვაფენილზე, დამატებითი მომზადებული საფუძვლის გარეშე. აღნიშნული მახასიათებლების გათვალისწინებით შესაძლებელია ჰიპოთეზის სახით ითქვას, რომ მოცემული სტრუქტურა შესაძლოა დაკავშირებული იყოს სამშენებლო პროცესებთან და წარმოადგენდეს კირის მომზადებასთან ან დროებით დაგროვებასთან დაკავშირებულ ობიექტს, რომელიც გელათის კომპლექსში მიმდინარე რომელიმე სამშენებლო ეტაპისთვის იყო განკუთვნილი (სურ. 27).

კონტექსტი 015 -კვ. G6 (62; 72)

ეზოს იატაკის დონეზე (კონტექსტი 006) გამოვლინდა მართკუთხა ფორმის სტრუქტურა - **საკირე №2**, რომლის სიგრძე შეადგენს დაახლოებით 257 სმ-ს, ხოლო სიგანე - 56 სმ-ს. სტრუქტურა ნაგებია და შევსებულია კირის მასით და ორიენტირებულია ჩრდილოეთ–სამხრეთის ღერძზე. მის შიგნით ფიქსირდება კირის მკვეთრი და მასიური კონცენტრაცია, რაც მიუთითებს კირის ინტენსიურ გამოყენებაზე.

საკირის გათხრის შედეგად დადგინდა, რომ იგი მოწყობილია უშუალოდ ეზოს ქვაფენილზე, წინასწარ მომზადებული საფუძვლის გარეშე. აღნიშნული სტრატიგრაფიული პოზიცია და კონსტრუქციული მახასიათებლები იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ საკირე №2 შესაძლოა დაკავშირებული იყოს სამშენებლო პროცესებთან და წარმოადგენდეს კირის მომზადებასთან ან დროებით დაგროვებასთან დაკავშირებულ სტრუქტურას, რომელიც გელათის კომპლექსში მიმდინარე ერთ-ერთ სამშენებლო ეტაპს ემსახურებოდა.

საკირის სამხრეთ-აღმოსავლეთ პერიმეტრის გასწვრივ მთლიანად ფიქსირდება მცირე ზომის ქვების წყობა, რომელიც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ სტრუქტურა თავდაპირველად შემოზღუდული იყო. ქვების ნაწილი ჩამონგრეულია საკირის შიდა სივრცეში, რაც, სავარაუდოდ, სტრუქტურის შემდგომი დაშლის ან ფუნქციონირების დასრულების შედეგია. საკირე №2-ის აღმოსავლეთ მხარეს ასევე გრძელდება კირის თხელი ფენა, რაც შესაძლოა მიუთითებდეს მისი გამოყენების არეალის ან სამუშაო ზონის გავრცელებაზე (სურ. 28).

კონტექსტი 016 - კედელი
კვ. G6 (72)

კონტექსტი 016 წარმოადგენს კედელს, რომელიც მდებარეობს თხრილის დასავლეთ კიდეზე. იგი ნაგებია დიდი ზომის ნათალი ქვებით და შესრულებულია მშრალი წყობით. თუმცა, შესაძლებელია ვარაუდი, რომ თავდაპირველად კედლის წყობაში გამოყენებული იყო დაბალი ხარისხის თიხნარი, რომელიც დროის განმავლობაში გაიფიტა და შედეგად კედელმა მიწის სტრუქტურის მსგავსი იერი მიიღო.

კედლის შიდა შევსება წარმოდგენილია მცირე ზომის ქვებით. სტრატიგრაფიული თვალსაზრისით, კედელი მოწყობილია კონტექსტი 006-ის ზედაპირზე, ხოლო ზემოდან ფარავს კონტექსტი 015-ს (საკირე №2), რაც მიუთითებს კედლის უფრო ადრეულ ქრონოლოგიურ პოზიციაზე აღნიშნულ კონტექსტთან მიმართებით.

კედლის შემორჩენილი ზომებია დაახლოებით 185 სმ სიგრძეში და 1,20 მ სიგანეში. იგი ორიენტირებულია სამხრეთ-ჩრდილოეთის ღერძზე და სამხრეთის მიმართულებით გრძელდება გაუთხრელ ფართობში, რაც მიუთითებს სტრუქტურის უფრო ფართო გავრცელებაზე და საჭიროებს შემდგომ კვლევას (სურ.29).

კონტექსტი 017 - ქვის ანატკეცები
კვ. G6 (62–65)

ქვის ანატკეცები გამოვლენილია თხრილის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და ფიქსირდება თანამედროვე ზედაპირიდან დაახლოებით 5-10 სმ სიღრმეზე. ანატკეცების გავრცელების არეალი შეადგენს დაახლოებით 3 მ სიგანესა და 10 მ სიგრძეს.

კონტექსტი წარმოდგენილია ქაოტურად განლაგებული სხვადასხვა ზომის სამშენებლო ქვის ფრაგმენტებით, რომელთაც არ აღენიშნება სისტემური და კონსტრუქციული წყობა. აღნიშნული მახასიათებლები მიუთითებს, რომ ქვაყრილი წარმოადგენს სამშენებლო სამუშაოების შედეგად წარმოქმნილ ნაყარ ფენას.

მისი თანამედროვე ზედაპირთან სიახლოვე და სტრატიგრაფიული პოზიცია ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ კონტექსტი ეკუთვნოდეს გვიანი შუა საუკუნეების პერიოდს. ამასთანავე, არ არის გამორიცხული, რომ ქვაყრილი დაკავშირებული იყოს უფრო გვიანდელ, მათ შორის მე-20 საუკუნის, ჩარევებთან, რაც შესაძლოა ასახავდეს ტერიტორიის გასუფთავების, გადაკეთების ან ინფრასტრუქტურული სამუშაოების შედეგს.

კონტექსტი 018 - ორმოები
კვ. G6 (74–75)

ეზოს ქვაფენილის დონეზე გამოვლინდა ორი ორმო. ორივე ობიექტი ჩაჭრილია ქვაფენილის ზედაპირში და ხასიათდება დაახლოებით 60–70 სმ რადიუსითა და 50–65 სმ სიღრმით.

ორმოების გათხრის შედეგად გამოვლინდა განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდის არქეოლოგიური მასალა. სტრატიგრაფიული მდგომარეობისა და აღმოჩენილი მასალის საფუძველზე დგინდება, რომ ორივე ორმო თანადროულია ეზოს იატაკის დონეს და თარიღდება XII–XIII საუკუნეებით. აღნიშნული ობიექტები, სავარაუდოდ, დაკავშირებული უნდა იყოს ეზოს სივრცის ფუნქციონირებასთან აღნიშნულ ქრონოლოგიურ ეტაპზე.

კონტექსტი 019 - სავარაუდო ქვაფენილი (დიდი ზომის ქვებით)
კვ. G6 (73)

კონტექსტი 019 წარმოადგენს დიდი ზომის ქვებისგან მოგებულ ქვაფენილს, რომელიც შემორჩენილია ფრაგმენტულად. სტრუქტურა დაზიანებულია, რის გამოც მისი ზუსტი იდენტიფიკაცია გართულებულია; ამასთანავე, არ არის გამორიცხული, რომ იგი წარმოადგენდეს ნაგებობის იატაკის ნაშთს და არა დამოუკიდებელ ქვაფენილს.

ქვაფენილის ქვები არ ქმნის მკაფიოდ დალაგებულ წყობას, რაც შესაძლოა აიხსნას როგორც შემდგომი დარღვევებით, ასევე მისი ფუნქციონირების დასრულების შემდეგ მომხდარი დესტრუქციით. სტრატიგრაფიული კონტექსტის დარღვევა უკავშირდება საკირე №2-ის მოწყობას, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა მიმდებარე არეალი და გაართულა კონტექსტის ქრონოლოგიური განსაზღვრა.

არსებული მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია ჰიპოთეზის სახით ითქვას, რომ აღნიშნული ქვაფენილი შესაძლოა მიეკუთვნებოდეს XII საუკუნის ადრეულ ეტაპს, თუმცა ეს ვარაუდი ემყარება მხოლოდ ინდირექტულ სტრატიგრაფიულ ნიშნებს და საჭიროებს დამატებით მტკიცებულებებს.

ქვაფენილის შემორჩენილი ფრაგმენტი ვრცელდება დაახლოებით 2–3 მეტრზე და სამხრეთის მიმართულებით ვითარდება გაუთხრელ ფართობში, რაც მიუთითებს სტრუქტურის უფრო ფართო გავრცელებაზე.

დასკვნა

2025 წელს გელათის მონასტრის ტერიტორიაზე განხორციელებულმა კომპლექსურმა არქეოლოგიურმა კვლევებმა არსებითად გააღრმავა ცოდნა მონასტრის ეზოს სტრუქტურული ორგანიზების, ფუნქციური ზონირების და სტრატიგრაფიული განვითარების შესახებ. გეოფიზიკური კვლევებით გამოვლენილ ანომალიებზე დაფუძნებულმა მიზანმიმართულმა გათხრებმა, მონასტრის სამხრეთ-აღმოსავლე (კვ. G6; უბანი №4), მოიცვა **დაახლოებით 160 კვ.მ ფართობის თხრილი**, რომლის **სიგრძე შეადგენს 18 მეტრს, ხოლო სიგანე - 10 მეტრს**. თხრილის **სიღრმე მერყეობს 50 სანტიმეტრიდან 1 მეტრამდე**, რამაც შესაძლებელი გახადა როგორც ზედაპირული, ისე შედარებით ღრმა სტრატიგრაფიული მონაკვეთების დეტალურ შესწავლას.

გათხრების შედეგად გამოავლინდა მრავალფენოვანი და სტრატიგრაფიულად მკაფიოდ გამიჯნული არქეოლოგიური კონტექსტები, რომლებიც დეტალურად არის დაფიქსირებული და დამუშავებული თანამედროვე საველე არქეოლოგიური მეთოდოლოგიის შესაბამისად. კვლევის შედეგად გამოვლენილმა ფენებმა (კონტექსტები 001–005) დაადასტურა ტერიტორიის ინტენსიური ანთროპოგენური ტრანსფორმაცია სხვადასხვა ქრონოლოგიურ ეტაპზე. ჰუმუსოვანი და ნაყარი ფენების შერეული არქეოლოგიური მასალა მიუთითებს როგორც შუა საუკუნეების, ისე გვიანდელი და თანამედროვე პერიოდის აქტივობებზე, რაც განსაკუთრებით ნათლად აისახა ზედაპირულ კონტექსტებში (001, 005).

სტრატიგრაფიული ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა გელათის მონასტრის ეზოს მიზანმიმართულად მოწყობილი ინფრასტრუქტურა (კონტექსტი 006), რომელიც წარმოდგენილია ნატეხი ქვით მოპირკეთებული ჰორიზონტით და ასახავს მონასტრის ფუნქციონირების პერიოდში განხორციელებულ დაგეგმარებით ღონისძიებებს. აღნიშნულ ეზოს ზედაპირზე და მის ჭრილში გამოვლენილი ობიექტები - ქვაფენილები და ბილიკები (კონტექსტები 004, 009, 019), სანიაღვრე სისტემა (011), ქვევრი (010), ორმოები (018), საკირეები (014, 015) და ქვის ნაყარი კონცენტრაციები (003, 017) - მოწმობს სივრცის მრავალფუნქციურ გამოყენებასა და ინფრასტრუქტურის თანმიმდევრულ განვითარებაზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაგებობათა კომპლექსი (კონტექსტები 007, 008, 012, 013, 016), სადაც დაფიქსირდა კედლების, იატაკების სხვადასხვა დონე, შელესვის კვალი და შიდა შევსებები. იატაკის ორდონიანი სისტემა (კონტექსტი 013) ალიზისა და კირის ხსნარის გამოყენება ნათლად მიუთითებს ნაგებობის ხანგრძლივ ფუნქციონირებაზე და მისი სტრუქტურული განახლების ეტაპებზე.

საკირეების არსებობა (კონტექსტები 014 და 015), რომლებიც უშუალოდ ეზოს ქვაფენილზეა მოწყობილი, მიუთითებს მონასტრის ტერიტორიაზე მიმდინარე სამშენებლო ან აღდგენით პროცესებზე და ადასტურებს, რომ ეზო არა მხოლოდ კომუნიკაციურ, არამედ ტექნოლოგიურ-სამეურნეო ფუნქციასაც ასრულებდა. ამავე კონტექსტში მნიშვნელოვანია მშრალი წყობით ნაგები კედელი (კონტექსტი 016), რომელიც სტრატიგრაფიულად უფრო ადრეულ ეტაპს ეკუთვნის და დამატებით ხაზს უსვამს ტერიტორიის განვითარების სირთულეს.

სტრატიგრაფიული თანმიმდევრობა და არქეოლოგიური მასალა, მათ შორის განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების კერამიკა, ლითონის ნივთები, აგურისა და დუღაბის ფრაგმენტები, ასევე მოზაიკის ელემენტები, მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის გელათის მონასტრის ყოველდღიური ცხოვრების, ინფრასტრუქტურული ორგანიზებისა და სივრცის გამოყენების დინამიკის შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეზოს ქვაფენილის დონეზე გამოვლენილი XII–XIII საუკუნეების მასალა, რაც მიუთითებს, რომ ეზოს დაგეგმარება და მისი ძირითადი ინფრასტრუქტურული ელემენტები ჩამოყალიბდა მონასტრის აქტიური ფუნქციონირების პერიოდში (ტაბ. IV-VI).

მიღებული შედეგები წარმოადგენს მნიშვნელოვან სამეცნიერო რესურსს შუა საუკუნეების სამონასტრო არქიტექტურისა და ცხოვრების კვლევისათვის და ქმნის მყარ საფუძველს შემდგომი, უფრო სიღრმისეული კვლევებისთვის. გელათის მონასტრის ეზოს სტრუქტურათა შესწავლა ახალ პერსპექტივებს ხსნის როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო კონტექსტში და მნიშვნელოვნად ამდიდრებს წარმოდგენას შუა საუკუნეების მონასტრული სივრცის დაგეგმარებისა და ფუნქციონირების შესახებ.

- **არქეოლოგიური და საკონსერვაციო-ლაბორატორული სამუშაოების ჩამონათვალი:**

არქეოლოგიური გათხრების პროცესში გამოვლინდა რკინის ლურსმნების ოთხი განსხვავებული ტიპი, რომლებიც ლაბორატორიული ანალიზისთვის ინდივიდუალურად დაინომრა A1, B1, C1 და D1. თითოეული ნიმუშის ქიმიური შემადგენლობა დასტურდება შემდეგი ელემენტური სპექტრით:

- **A1** – Fe: 98.48 ± 0.06%; As: 0.76 ± 0.03%; Co: 0.34 ± 0.16%; Cu: 0.13 ± 0.04%; Ti: 0.13 ± 0.20%; Mn: 0.07 ± 0.04%; Ni: 0.06 ± 0.07%; Cr: 0.02 ± 0.06%;
- **B1** – Fe: 99.16 ± 0.07%; Cu: 0.26 ± 0.05%; As: 0.19 ± 0.02%; Co: 0.15 ± 0.21%; Ti: 0.10 ± 0.30%; Ni: 0.05 ± 0.07%; Mn: 0.03 ± 0.05%; V: 0.03 ± 0.11%; Cr: 0.02 ± 0.08%;
- **C1** – Fe: 98.93 ± 0.07%; As: 0.30 ± 0.02%; Cu: 0.22 ± 0.05%; Ti: 0.19 ± 0.24%; Co: 0.13 ± 0.19%; Mn: 0.11 ± 0.05%; Ni: 0.09 ± 0.08%; Cr: 0.03 ± 0.08%;
- **D1** – Fe: 98.82 ± 0.07%; As: 0.30 ± 0.02%; Cu: 0.26 ± 0.05%; Ti: 0.21 ± 0.23%; Co: 0.19 ± 0.19%; Mn: 0.16 ± 0.05%; V: 0.04 ± 0.11%; Cr: 0.02 ± 0.07%.

ლურსმნების ლაბორატორიული კვლევის შედეგები მიგვანიშნებს რკინის შენადნობის სტანდარტულობისა და ტექნოლოგიური დამუშავების თავისებურებებზე, რაც შესაძლოა მიუთითებდეს მათი ადგილობრივი წარმოების შესახებ (ტაბ. I).

გარდა ამისა, გათხრებისას გამოვლინდა მოზაიკის 21 ფრაგმენი, რომელთა მექანიკური სიმტკიცე შემოწმდა მოოსის შკალით. მიღებული მაჩვენებელი, სიმაგრე 5-7 -

მიუთითებს, რომ მოზაიკის მასალა სხვადასხვა ტემპერატურაზე ნადნობი მინის ჯგუფს მიეკუთვნება და მის წარმოებაში გამოყენებულია განსხვავებული ტექნოლოგიური რეჟიმები (ტაბ. IV-6).

კიდევ ერთი მნიშვნელოვნად საინტერესო არქეოლოგიური აღმოჩენა წარმოადგენს ბრინჯაოს მინიატიურულ ღვთისმშობლის ხატს (ტაბ. II-1). ხატის მცირე ზომის მიუხედავად, იგი სავარაუდოდ იყო რომელიმე დიდი ზომის ხატის შემადგენელი ნაწილი, რაც დასტურდება იმით, რომ მასზე არ იკვეთება გულსაკიდისთვის დამახასიათებელი საკიდი მარყუჟი. ხატი საჭიროებს ლაბორატორიულ გაწმენდას, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება მისი ქრონოლოგიური დათარიღება. ლაბორატორიული ანალიზის საფუძველზე დადგენილია ხატის მეტალურგიული შემადგენლობა, რომელიც წარმოდგენილია შემდეგნაირად:

Cu: 90.15 ± 0.12%; **Sn:** 6.18 ± 0.10%; **Pb:** 2.40 ± 0.10%; **Sb:** 0.42 ± 0.08%; **Ag:** 0.39 ± 0.02%; **Fe:** 0.33 ± 0.08%; **Ti:** 0.10 ± 0.30%; **Cr:** 0.03 ± 0.09%; **Co:** 0.02 ± 0.05%; **Zn:** < 0.09%; **Mn:** < 0.07%.

აღნიშნული სპექტრი დამახასიათებელია კლასიკური ტიპის ბრინჯაოს შენადნობისთვის, რომელშიც დომინანტურია სპილენძი და თვალსაჩინოა სხვა დანამატების მინარევებიც, რაც წარმოების ტექნოლოგიურ სტადიებსა და დანიშნულებას ასახავს.

გათხრების პროცესში გამოვლინდა სხვადასხვა ტიპის კერამიკული და ქვის-მარმარილოს რელიეფურიმასალა (ტაბ. II-2), რომელზეც განხორციელდა კამერალური კვლევები ადგილზე. შესრულდა არტეფაქტების ფოტოგრაფიული და გრაფიკული დაფიქსირება, მათი აზომვა და ჩახატვა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ტიპოლოგიურად მნიშვნელოვან ნიმუშებს, რომლებიც შევიდა დეტალურ აღწერაში. ასევე განხორციელდა არტეფაქტების გრაფიკული რეკონსტრუქცია, რაც აუცილებელია მათი თავდაპირველი სახის და ფუნქციური დანიშნულების უკეთ განსაზღვრისთვის. აღსანიშნავია, რომ აღმოჩენილ მასალებს შორის დაფიქსირდა ფანჯრისა და სარკმლის ალათებიც, რომლებიც სტილისტურად და ტექნიკურად ძალზე ჰგავს დღემდე შემორჩენილ ნიმუშს - კერძოდ, წმინდა გიორგის ეკლესიის გუმბათზე არსებულ სარკმლის არქიტექტურულ ფორმას (ტაბ. III).

- **არქეოლოგიური სამუშაოების ვადები:**

2025 წლის 20 მისიდან 2025 წლის 10 ივნისი ივნისამდე. ნებართვა გაცემულია 2025 წლის 20 მისიდან 2025 წლის 07 ნოემბრამდე.

ვადის გაგრძელება - 2025 წლის 05 ნოემბრიდან 25 დეკემბერი.

- **ინფორმაცია გამოვლენილი მოძრავი ობიექტების ტრანსპორტირებისა და საცავში განთავსების შესახებ:**

ამ ეტაპზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალა დროებით განთავსებულია გელათის სამონასტრო კომპლექსის ეზოში არსებულ საველე ლაბორატორიულ სივრცეში. იგი საჭიროებს შესაბამის მეცნიერულ დამუშავებას, კონსერვაციასა და კვლევას. აღნიშნული პროცედურების დასრულების შემდეგ მასალა გადაიგზავნება ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული დაბინავების წერილის №05/1363 საფუძველზე.

- **თხრილების დროებითი კონსერვაცია:**

არქეოლოგიური კვლევის მიმდინარე ეტაპის დასრულების შემდეგ, გათხრილი კვადრატები დროებით დაიფარა გამძლე საფარით (ტექსტილით), რომლის ზედაპირზეც განლაგდა მიწით შევსებული ტომრები სტრუქტურული სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული დროებითი კონსერვაცია მიზნად ისახავს სტრატიგრაფიული ფენების დაცვისა და დეგრადაციის პრევენციას შემდგომი სამუშაოების დაწყებამდე. კვლევის გაგრძელებისას დაგეგმილია მე-4 უბნის ბოლომდე შესწავლა, რომელიც დაფიქსირდა გეოფიზიკური კვლევით და განსაზღვრულია საპროექტო დოკუმენტაციით. აღნიშნული პროცესი ხელს შეუწყობს მე-4 უბნის სტრატიგრაფიული სურათის სრულყოფილად აღდგენას და ინტერპრეტაციას (სურ. 23-24).

ილუსტრაციები:

გიორგი კოპალიანი

სურ. 1. ტოპო გეგმა - 1:500

სურ. 2. ტოპო გეგმა - 1:1000

Gelati. Archaeo-geophysical interpretation (red) of the integrated data analysis.

სურ. 3. გეოფიზიკური საკნირების შედეგი

სურ. 4. გათხრილი არეალის ორთოფოტო.

გიორგი კოპალიანი

10 5 0 10 Meters

სურ. 5

N
W
E
S
G6-75
G6-76
G6-85
G6-86
1 0.5 0 1 Meters
კედელი
ქვაფენილი
გადმოყრილი ქვები
ნაგებობა I
უღელი
გათხრების არეალი
გიორგი კოპალიანი

სურ. 6

გელათის სამონასტრო კომპლექსი
N
W
E
S
4684870
4684860
18მ
7მ
8მ
3.4მ
10მ
10.5მ
2 1 0 2 Meters
316010
316020
საკირე
ქვაფენილიანი ეზო
კედელი
გათხრების არეალი
იატაკი
სატესტო შურფი
წაგებობა
ქვევრი
ტკეპნილი იატაკი
ულელი
იატაკი
სამშენებლო ანატკეცები
ბილიკი
გიორგი კოპალიანი
Coordinate System: WGS 1984 UTM Zone 38N
Projection: Transverse Mercator
Datum: WGS 1984
False Easting: 500,000.0000
False Northing: 0.0000
Central Meridian: 45.0000
Scale Factor: 0.9996
Latitude Of Origin: 0.0000
Units: Meter

სურ. 7

N
W
E
S
გელათის სამონასტრო კმპლექსი
კვ. G6
ჩრდილოეთის პროფილი
399 მ
398 მ
397 მ
1 0.5 0 1 Meters
გიორგი კოპალიანი

სურ. 8. ჩრდილოეთის პროფილი

სურ. 9. სამხრეთის პროფილი

სურ. 10. I - დონე

სურ. 11. I I - დონე

სურ. 12. I I I - დონე

სურ. 13. არქეოლოგიური სამუშაოების არეალი

სურ. 14.

სურ. 14.1

სურ. 14.2

სურ. 15.

სურ. 16

სურ. 17

სურ. 18

სურ. 19

სურ. 20

სურ. 21

სურ. 22

სურ. 23

სურ. 24

სურ. 25

სურ. 26

სურ. 27

სურ. 28

სურ. 29

სურ. 30

სურ. 31

ტაბ. I

ტაბ. II

ტაბ. III

1

N 52-53

0 2 4

N54

0 1 2

2

N27

0 1 2

3

ᲩᲐᲑ. IV

ტაბ. V

ტაბ. VI